# საქართველოს გაზეთი

ივლისის ია დღესა ჩყით წელსა თფილისში.

Ho. 19.

იმპერატორის უდიდებულესობისაგან მოწოდებულ-არიან ქვემოჴსენებულის მამულების ხოდვის მოწადენი რადგან იგინი საკუთარის ვალების მიუცემლობისათვის დადებულ-არიან საქვეყნო გასაყიდად.

ა. სხვა თბილისის მოქალაქის ისაია სტეფანე შვილის ტერტეგესა თბილისის პირველის ნაწილის მესამე კვარტალში, იმ ვალში რომელიცა ჰმართებს მას დუქანოზის დავითის ცოლისა ხუთი თუმანი თეთრი ფული თავის სარგებლით. მისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის ივ, იზ და ით ამ ივლისის რიცხვს.

ბ. ყმანი თავადთ კაპიტნის მესხიროვ თარხა-ნოვისა და ზაქარია ფალავანოვისა გორის უეზდის სოფელს დვანს ორი კომლი კაცი იმ ვალის მიუცემლობისათვის რომელიცა მათ ვალად აძლევთ არხიმანდრიტის ვენედიქტესაგან გორის უეზდის ხიდის შეკვანილის თავადისამ ოცდაშვიდი თუმანი და შვიდ-აბაზ-უზალთუნი მათის გასყიდვის ვადა დანიშნულ-არის იზ ით და კა ივლისს.

გ. მამული თავადთ ხუციშვილისა და დიმიტრის ციციანოვებისა გორის უეზდში საგუნასა ადგილი და სხვა და სხვა ილიათორამეტის დღის სახნავი მიწა ოცდა ხუთი თუმანს თეთრს ფულში რომელიცა მათ ჰმართებსთ გენერალ-მაიორის თავადის კონსტანტინე ბაგრატიონისა მათი გასყიდვის ვადანი დანიშნულ-არის კთ ლ ივლისს და ზ აგვისტოს.

დ. ყმა თავადის თეიმურაზ მაჩაბლისა გორის უეზდის სოფელს ვარიანს მცხოვრები მისი ყმა არჩ-შიმე თავისის სახლის შვილით ცოლითა და ქონებითა იმ ვალში რომელიცა ჰმართებს მას თხუთმეტი თუმანი თეთრი ფული სარგებლით თბილისის მოქალაქის აფრიამა იოანნეგულოვისა მისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის გა ზ და თ აგვისტოს.—

ტარდა ამისა

ე. ქ სადგომისთ საზოგადოდ რომელ იპოვნონ ყმანი პოლკოვნიკის ჭავჭავაძისანი თათრები ბორჯალი ველი-ოღლი და უსეინ ასმალ ოღლი და ნა-თევაზი ყაზახელის აღალარის ნაბიალისა მანსურ-ალი მოკლული თათრის ალი გუგუშ ოღლისა, სადაცა მისალ აღმოჩნდეს და მოწმადლი უფროსობიდამ ჰანჭალე მონ მუსალლა რომელსაც მრავალთ კაცთ ვალი დასდვა.—

ვ რი წარწერილობისა მისის მაღალ აღმატებულე-ბისა საქართველოს მთავარ-მმართებლის უფლის ინფანტერიის გენერალის და კავალერის ალექსი პე-ტროვიჩის ერმოლოვისაგან, უფლისადმი ტფილისის პოლიცმეისტერისა ნადვორნი სოვეტნიკის და კა-

ველერის გასანოვისა ივნისის 3-სა ამ 1819 წლი-სა No. 1792.

დამოწმებისაგან საქართველოს ღუბერნატო-რისა ყოვლის ღენერალ მაიორის ხოვენისა ფრიად საამოვნო არს ჩემდ თჳს განცხადებად აწის მიერ თქუენის მადლ — კეთილმოწყობილებისათჳს სრულიად-ისა ჩემისა მადლობისა დაუმინებელთა — თჳს მორჩილთა თქუენთა თანამდებობასა შინა და განსხუა-ვებულისა თჳს საქმიანობისა, რომელთაცა მი-ეწყვნენ — არიან თქუენ მიერ სრულნი ცნობანი აქამომდე მიუწერებულნი მთავრობისაგან, გინაარ-ცა რიცხვისა — თჳს მცხოვრებთა ქალაქისათა გან-სხვავებულთა სქესისა, წლოვანებისა, ასნაფთა და ხელოსნობისა მათისათა, ეგრეთვე მყოფთა თჳს-ცა ყოვლის გვარის შენობათა, და გამოცხადება-ნილთა ეგრეთვე ახლა კიმდეთა ქალაქსა შინა მცხოვრებელთა, გარნა არასადა ჩაწერილთა და სამინის ღებულებისა არა გამომდებელთა; მე ამის ყოვლისავე მიერ წერ მხოლოდ საკუთარსა საქმებელსა ბუდ. მოდგინებასა თქუენსა სასარგებლოდ სამ-სახურისა და კეთილგონიერებით დაუშთებით მას დარწ-მუნებასა შინა, რომელ თქუენ შემდგომსაცა ჟამსა არა დაუტევებთ თანასწორითავე გულსმოდ-გინებითა აღსრულებასა თქუენ მოვალეობათასა და მით კვალადცა უმეტეს მიიღებთ ყურადღე-ბასა და კეთილ ნებობასა თქუენდა უმაღლესისა მთავრობისასა, რომელიცა ფრიად სასიამოვნო იქმნების ჩემ თჳს მოდრეკად სასარგებლოდ თქუენ-და.

ამა წარწერილობისა საქართველოს ღუბერნატო-რის ყოვლის ღენერალ-მაიორის ხოვენისაგან, მისვე ყოვლის ტფილისის პოლიციმეისტერისადმი 25 ივნისსა ამ 1819 წლისა No. 2025.

მმართებელმან საქართველოსამან ყოვლმან ღენერალ-ლეიტენანტმან და კავალერმან ვე-ლიამინოვმან წარდგინებასა ზედა ჩემსა დამ-ტკიცებულისა, — თჳს თქუენ მიერ ფასისა სასარგებლოდ ხაზინისა 2504 რუბლითა 25 კაპეიკითა თეთრის ფულად ოდესცა ყოველ. არს გაყიდვა სასურ-ლად აქაურის სამხედროს ლოშაკებისათჳს საზინა-რისთა და მასალათა ინგლა და მარწმუნა მე რათა განვიცხადო თქუენ სასიგელითა ყოვლის კეთილ-სის კამანდირისათჳს მადლობა. ვსოდევ მეკვლე-ნობითის მზრუნველობისა — თჳს თქუენისა სარგე-ბლობათათჳს ხაზინისათჳს მიუწყებელი ამისა თქუენის მადლ — კეთილშობილებისადმი მე იმედეულ ვარ რომელ მადლობა ესე იქმნების თქუენთჳს უდრეს განსაკუთრებულად სამსახურისა ზედა.

დასასრული ქალის მარიამის მოთხრობისა

შემდგომად საშინელებითის დამოწყებისა მე ვკმარად ვემყოფებოდი ამ მამულსა შინა ჩემსა რა-თა განვიყენებოდი მშობელთა ჩემთა კურთხევა-კავშირისათვის რომლისაგან გული და გონება ჩემი მოელიან მკურნალობასა ჩემისა ცნობიერებისა-სა შენ იცი სასურველო კმაყოფილება თუ ვითარ გავიცან მე სხ. . . . . რომელთან მოვეყრდნე-მას, და ვითარის მშვენიერების მანუგეშებელის მრწმუნებლობით ვამცნე გულსა ჩემსა და სიცოცხ-ლესა კაცსა, რომელიცა თვით მე სულით მიყვარს-და მაცოცხლებდა, ვიმყოფებოდა ამა ნაყოფისა ზედა ცოდნებისასა, აღმოჩენილის გრძნობით მეუფლებდა წარსრულსა და ვამცნე ჩემს თავს არა-გვარიშს მას შინა, რომელ ვითარი მოქმედება აქუნდათ ჩემ ზედა გამოცხადებათა სიცოცხლისა-თა. გამოთქმა არა მაქვს, ვითარად დავალე-ბული — ვარ მე კეთილშობილისა, უთანასწოროსა მამულისა ჩემისა. ვითარის სიყვარულით, ვითა-რის სიმშვიდით განმკურნებლად სულსა იგი მოწ-ყალებისა გულსა ჩემსა, და განწმენდა შთასხმუ-ლისა მას შინა სიმჭმუნვარისაგან საკუთარმან მშ-ვიდობისმან მისმან მაჩუქა მე, რომელ ზნეობი-

ისა შემძლებისა შენისა წყალობისასა და მეუფებისა სახიერებისა შენისა ღმრთისა ზედა არსებსა მათ იგი და რომელთაცა ჰგვანან მათებრ ერთოდ ოდენ მოითმენა წყლის სიმძიმისა უბედურებათა და არა-მედ მოჰგვრისცა მათ. მშვენიერი, მაღალთა და სიყვარულის ადგილი სული მისი უბედურ და უბედურ ცხოვრებისაგან ჩვენ წინაშე, საშიშისა-მებრ იმა აღმოჩენილისა ჩვენ შორის სურვილისა და რათა მიმეცა, მე და ლოცვა შევქმენი ქრისტე მისის მოყვრისა. ჭკვიანი სიბრძნე და მხიარული მოქმედება, საყვარელი შემძლებელია ვნებისა-ნა მშვიდობით ცხოვრებისა, ხოლო უბედურ ყოვე-ლისა წინადა ღვთის მოყვარება და უნიკვალი სახლებ. მამასა ზედა ზეციერსა, მისი მარადის მზრდელისა ყოველთა ზედა განმცდელებათა სი-ცოცხლისა, იყვნენ ჩვენთვის მიწიერებელ მიგა ლოცვ და მეცა მიწოდებით ვიწვ უფრება სულისა ზედა ჩვენსა სრულიად სხვა მსგავსობის წერტილისა; რამეთუ საუკუნოდ არიან განა-ცდანი და რომელთაცა დაივიწყებენ სიცოცხლესა შენსა და ვჰრდებ სასარგებლო არიან იგინი თვით ჩვენთვის და ვინაჲდგან რა შემემთხვევა მე და უკეთუ მე განვეშორებოდე არა დავშთე მე უმეცრისა კაცობრიობისაგან ფრიადისა კაცთა-ნა, რომელთაცა განმოკლებული ჩვენი უმწიკვლოება და არა სიმკვიდრე კანონთა შენსა, არა ცხადი სხვანა ცხოვრებისათვის, მისსა სიყვარულისათანა; და ჩვენსა მისლამდე განწმენდილებისა და მისმცემელ-ნის მეუფე სამშობლოსა ნებასა ერთგულ ჩვენსა ცოდნისმსგავსი ღვთისა ზედა, არამედ თვით კა-ნონთაცა ზედა ჩვენსა ჯვარი არა დამკვიდრე-ბულთა თვისსა საკუთრებისა ზედა რაჲცა მეგონა მე მაშინ განმაჩქარებელ შემწეობისა ჩვენისა ცხოვრებისა, იგი მხოლოდ იყო გზად ჩვენი მყოფელის თავისუფლებისა, მით უმეტეს ჩვენ უნდა შევიწყნაროთ უკვდავება ცოდნისა სუ-ლისა შენსა ჩვენსა უფალი ცხოვრება განაღმრთო-ბისა ჩვენ შორის მაღლით, რომელიცა თვისიერ ძალისა მიიღებლებენცა და მხოლოდ სიცოცხლისათა-ნა, მიუწვდომელსა მაღალთა ჩვენთა განკურნე-ბულიყვნენ იგი შენგანი და სახელოვანი სიმ-ტკიცე სიცოცხლისა, რომელიცა კაცსა არ მოეცემა შემთხვევებითა გარემოქცევათა მყოფობისა ვარსკვლავთა და ძლიერი ღვთისა არ-სებად თავისუფლად, მაღალი სარწმუნოებითა და სასოებითა და სიყვარულითა აღსრულებად ნებისა შემოქმედისა.

( დასასრული ) |

✓

წარსრულსა ნომერსა შინა საქართველოს გაზეთისასა მოვიხსენეთ საზოგადოდ ყოველი ტფილისის საკეთილშობილო სასწავლებლის მოწაფეთ ეგზამენი მსწავლელთა შინა; ხოლო აქ აქა ვაუწყებთ უფლის მკითხველთა საქართველ-ოს გაზეთისათა უსხმასა შემდგომად დასრუ-ლებისა ეგზამენისა მის თქმულისა სასწავლებელის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელის უფლის ვიცე-გუბერნატორის ახვერდოვის და კავალერის მუკრინსკისაგან.

უპატივცემულესნო მსმენელნო

მოწყალენო კეთილნო

ნუ მოელით ჩვენგან მოწყალენო კეთილნო, ნურცა წარმოიდგენთ განსჯასა ღრმად მეცნიერე-ბითისა და ლოღიკისასა ვითარისათვისმე მაღ-ლის უმაღლესობისა ნურცა უხვებითა და ტკბილ-თა ნაყოფთა მიმზიდველობისა მჭევრ-მეტყველე-ბისათა ნურცა სიმდიდრითა შე ანგელოსთა ცნო-ბელ-მეცნიერებითისა მოგზაურისათა; არა! — მეზანი ამის ტაძრისანი ჯერეთ ვერ მკვიდრნი არიან, რათა განმეცნებულ იქმნენ ყოველთა მიერ შესამოსელთა განთავისუფლებულთა მით მეზაობამი რომელნიცა მეცნიერობენ ტაძართა შინა ყურობი.

ულთა მე განვიზრახავ ოდეს რათა წარმოვი-
დგინო თქვენ მოკლედ სხვათა წარსრულისა და
აწინდელისა მდგომარეობათა ამის დაწესებულები-
სათა, რათა მიეჳსცა კეისრისა კეისარსა და
აღვასრულო წინაშე თქვენსა საღმრთო თანა-
ნადები მადლობისა.

აჰა მოიგებმან დღისამან ხუთ-გზის განა-
ცისკროვნა ჰორიზონტი მზეისა სასაუდროჲსა
ქალაქისა ბაგრატოვანთასა, რომელ შვილნი-უ-
საყვარელესნი მშობელთაგანი და მამულისაგანი შვი-
ლნი მქონებელ-არიან ბედნიერებისა საუბრობად
თქვენთანა; აღვსილთა ვაჟთ-მოყვარებითა და
განმხიარულებითით ყურადღებითა ხედვათა თქ-
ვენთა მაღლიდამ განჭვრეტა ყოველთა შორის
ცნობათა რომელნიცა მათ მიერ მოპოვებული იყ-
ვნენ ჰსწავლათა შინა უკეთუ წარმატებანი
მათნი აღმოსჩნდენ არა-შეთანხმებულად
მოლოდებათადმი თქვენთა; უკეთუ ვერ მიაღწივ-
ვნენ იგინი გვირგვინსა მას რომელიცა მარად-
მსაჯულებისა თქვენსა წინათვე განემზადებინა
მათთვის უკეთუ არა ღირს-ჰყვნეს მათ თავნი
ახნი აწ თქვენთანა სრულითა ზომითა თანამო-
სარულებად წარმოიდგინეთ თჳსდამი მოწყალენი
კლიწრიენი შეიდწყლობა განვლილი ვიდრე ჩუიდ
წლამდე, — შეიდწყლობა უმეტესითა ნაწილითა
კეთილ-მდგომარეობისათჳს სასწავლებლისა ერიად
საგნობელი. — დაწყებითგან ჩუით წლისა გიმნ-
და დასასრულამდე ჩუიდ წლისა მაღ-ლდება
უმეტვილოვნება ამას ვენახსა ოდესცა გულთაგან
ბულთ გარდაცვალობდენ საშინელებანი სიუმი-
ლისანი — მკვდრისა გარნა ცხოველთა შთამნთ-
ქმელისანი, — საშინელებანი ამბოხებათა ერთა-
ნი — ამათ გრიგალთა ვაცობრივთა გონებათათა
საშინელებანი თვით ბმლისა ჯოჯოხეთისანი
ვაცობრივის ნათესავის არათუ უწყალოდ აღმხ-
მელისანი არამედ რომელიცა უბედურებს-არს
თჳთ სიკვდილისაცა განმკვიცხველისა მიზისანი —
სიკვდიდ შემოსილისა წყლულებისათა ვიტყვი, —
მადლობა ვენახსა ამას გამოლებად ნაყოფთა ელე-
მურითა რაჟამს გირილისა ღირსი უფრულება —
წარმოშობილი განკაფულებისა მიერ სიუმილითა
მალთა სხეულისათა, — დაჰფარევდა პირთა მცხო-
ვრებთათა ერთსა ზედა უნაყოფიერესთაგანსა.
ნაწილსა ჭეუქუნიერისა სიმგრგულისასა; რაჟამს,
არა ვიტყვი მოსრულთათჳს უცხოთა ნათესავთა,
თვით თანამემამულენი, ნაცვლად სიყვარულისა,
ეგზნებოდენ თვისისადმი საკუთრისა უსა-
უყვარელესისა მამულისა, მხეცებრივითა, ჯოჯა-
დნიერებ თქმად, ბოროტულებითა და გულისწყ-
რომითა, ეხრეთ რომელ დამარღვეველნი თვით
ჰსჯულთა ბუნებისათა, ანუ უმჯობეს, სჯულ-
თა თჳთ ყოვლად-მლიერისათა შეერთებულნი
საკვრელითა ცნობისათა, ზოგად ცხოვრებისათა
მეგობრობისათა და თჳთ ნათესაობისათაცა იხმა-
რებდენ ბოროტად ზეგარდამო მონიჭებულსა თა-
ვისუფლებასა და შემძლებელობასა მოქმედებისასა
სარისხეულად უთანხმაეს ნებისა ღვთისა და მით
უმეტეს და უმეტეს შემძლებისაგან სრულებად მო-
ყვანისა თავთა თვისთასა, და გარდაიქცეოდენ
კრავთაგან ვეფხვად პირის პირ ურთიერთისა;
უკანასკნელ რაჟამს უხილავითა, გარნა უმცი-
ხინვარეს მზისა და უსაშინელეს ჯოჯოხეთისა
გამომხატველითა სასტიკებისა თჳსისათა სარც-
ხებითა — მომსრველსა ვიტყვი სენსა, წარი-
ტაცებოდნენ და აიმულებოდენ მშობელნი შვილთა
და შვილნი მშობელთა, ნათესავნი ნათესავთა,
მეგობარნი მეგობართა, მცნობნი მცნობთა,
ბუნებითად და მიუცილებელად შემდგომად თჳსსა
დათხევად წყაროთა ცრემლთათა და შთაგდებდენ
ღრმასა შინა მწუხარებასა, შემმუსრველსა
გულთასა და დამამძიმებელსა გონებათასა? —

(ამისი შესრულება შემდგომში იქმნება)